

ქალქ ბათუმის მუნიციპალური ტერიტორიის საკრებულოს

განკარგულება №

2024 წლის ----- თებერვალ; ქალქი ბათუმი

„გარე რეკლამის განთავსების ნებართვის აუქციონზე გაცემის საწყისი ფასის განსაზღვრისა და აუქციონის პირობებისა და ჩატარების პროცედურის დადგენის შესახებ“ ქალქ ბათუმის მუნიციპალური ტერიტორიის საკრებულოს 2023 წლის 25 აგვისტოს

№გ-15.15232375 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს კანონის „საქართველოს შოგალ ადმინისტრაციულ კოდექსი“ 63-ე მუხლს შესაბამისად, ქალქ ბათუმის მუნიციპალური ტერიტორიის საკრებულომ გადაწყვიტა:

1. ცვლილება იქნას შეტანილი „გარე რეკლამის განთავსების ნებართვის აუქციონზე გაცემის საწყისი ფასის განსაზღვრისა და აუქციონის პირობებისა და ჩატარების პროცედურის დადგენის შესახებ“ ქალქ ბათუმის მუნიციპალური ტერიტორიის საკრებულოს 2023 წლის 25 აგვისტოს №გ-15.15232375 განკარგულებაში და განკარგულების მე-2 პუნქტით დამტკიცებულ დანართი ჩამოყალიბდეს ამ განკარგულებაზე თანდართულ რედაქციით.

2. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ბათუმი, ზუბალაშვილს ქ. №30) მისი კანონმდებლობით დადგენილ წესით გაცნობიდან ერთ თვის ვადაში.

3. განკარგულება ძალშია ხელმოწერისთანავე.

საკრებულოს  
რამაზ ჯინჭარაძე

თავმჯდომარე

**ქალქ ბათუმის მუნიციპალტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში  
მდებარე უძრავ ქონებაზე გარე რეკლამის განთავსების ნებართვის  
გაცემის შესახებ ელექტრონულ პირობებიანი აუქციონის პირობები**

**I -განმარტებები**

1. წინამდებარე პირობებში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა :
  - 1.1. ნებართვა - ქალქ ბათუმის მუნიციპალტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე, მუნიციპალურ/სახელმწიფო საკუთრებაში არსებულ უძრავ ქონებაზე ამ პირობებისა და კანონმდებლობის შესაბამისად გარე რეკლამის განთავსების ექსკლუზიური უფლება .
  - 1.2. ლოტით გათვალისწინებულ ტერიტორია - ქალქ ბათუმის მუნიციპალტეტის ადმინისტრაციულ საზღვრები .
  - 1.3. მუნიციპალტეტი - ქალქ ბათუმის მუნიციპალტეტი .
  - 1.4. განსაზღვრულ ობიექტები - ამ პირობების დანართ N1-ით განსაზღვრულ ადგილები/ლოკაციები .
  - 1.5. არასტანდარტულ საშუალებები - ლოტით გათვალისწინებულ ტერიტორიაზე, ღია სივრცეებში არსებულ უძრავ ქონებაზე (მაგალთად, მიწის ნაკვეთზე, გარე განათების ბოძებზე ან/და სხვა კონსტრუქციებზე/ნაგებობებზე) განთავსებულ სარეკლამო დანიშნულების მანიშნებლები, რომელთაც მიანიშნებს ამა თუ იმ კონკრეტულ კომერციულ/არაკომერციულ ობიექტის მდებარეობის/ მიმართულების/ საქმიანობის შესახებ და ა.შ.; აგრეთვე, კონკრეტულ ბიზნეს-სუბიექტის საქმიანობის რეკლამირების მიზნით, ამ ბიზნეს-სუბიექტის მიმდებარედ განთავსებულ, არასტანდარტულ, ერთჯერად სარეკლამო კონსტრუქციები. არასტანდარტულ საშუალების ფართობი არ უნდა აღემატებოდეს 3 კვ.მ.-ს .
  - 1.6. არასტანდარტულ საშუალებების მაქსიმალური რაოდენობა - ლოტით გათვალისწინებულ ტერიტორიაზე განთავსებულ გარე რეკლამის არასტანდარტულ საშუალებების მაქსიმალური რაოდენობა (ერთეული) .
  - 1.7. ახალ ობიექტები - ლოტით გათვალისწინებულ ტერიტორიაზე მდებარე, განსაზღვრულ ობიექტებისგან განსხვავებულ (დამატებით) ადგილებზე ან/და მეტ ფართობზე, ასევე, არასტანდარტულ საშუალებების მაქსიმალურ რაოდენობაზე მეტი რაოდენობის გარე რეკლამა, რომელმაც ნებართვის მფლობელთ, მუნიციპალტეტთან შეთანხმების საფუძველზე და ამ პირობების შესაბამისად, მოიპოვებს გარე რეკლამის განთავსების უფლებას .
  - 1.8. სარეკლამო ინფრასტრუქტურა - გარე რეკლამის განთავსებისათვის საჭირო კონსტრუქციები/დნაფარები/მოწყობილობები/ინფრასტრუქტურა .
  - 1.9. სარეკლამო ინფრასტრუქტურის სახეობები - სარეკლამო ინფრასტრუქტურის ტიპები/სახეობები, რომელთაც მოიცავს, მაგრამ არ

შემოიფარგლება ამ პირობების დანართ N1-ში მითითებულ რეკლამის ტიპებს/სახეობებს (მათ შორის ციფრულს).

- 1.10. აუდიტორულ/საექსპერტო დასკვნა - სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს ან საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად აკრედიტებულ/ავტორიზებულ სხვა აუდიტორულ/საექსპერტო კომპანიის/აუდიტორის მიერ მომზადებულ/გაცემულ დასკვნა.
- 1.11. ხელშეკრულება - ნებართვის გამცემსა და გამარჯვებულ პირს შორის ამ პირობებისა და აუქციონში გამარჯვების დამადასტურებელი ოქმის (შემდგომში - „ოქმი“) საფუძველზე დადებული ხელშეკრულება, რომელიც აზუსტებს კანონმდებლობით და ამ პირობებით განსაზღვრულ მხარეთა უფლება-მოვალეობებსა და მხარეთა შორის ურთიერთობებს.

## 2. აუქციონის საგანი. ნებართვის მოქმედების ვადა და საფასური

- 2.1. აუქციონის საგანია ქალქ ბათუმის მუნიციპალტეტის მიერ აუქციონში გამარჯვებულ პირისათვის ქალქ ბათუმის მუნიციპალტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში, მდებარე შესაბამის უძრავ ქონებაზე (შემდგომში - „ლოტით გათვალისწინებულ ტერიტორია“) გარე რეკლამის განთავსების ნებართვის (შემდგომში - „ნებართვა“) ექსკლუზიურად გადაცემა (გარდა წინამდებარე პირობებით განსაზღვრულ გამონაკლისებისა), საქართველოს კანონმდებლობისა და წინამდებარე პირობების შესაბამისად.
- 2.2. აუქციონის პირობები და მასში გამარჯვებულ პირს (შემდგომში „გამარჯვებულ პირი“/„ნებართვის მფლობელი“) გამოვლენის წესი დადგენილია კანონმდებლობით და წინამდებარე პირობებით (შემდგომში - „პირობები“).
- 2.3. ნებართვის გამცემსა და გამარჯვებულ პირს შორის ამ პირობებისა და აუქციონში გამარჯვების დამადასტურებელი ოქმის (შემდგომში - „ოქმი“) საფუძველზე დადება ხელშეკრულება (შემდგომში - „ხელშეკრულება“), რომელიც აზუსტებს და განავრცობს კანონმდებლობით და ამ პირობებით განსაზღვრულ მხარეთა უფლება-მოვალეობებს, ლტლურად განსაზღვრავს სანებართვო პირობებს, გამარჯვებულ პირის პასუხისმგებლობის შემთხვევებსა და წესს, ხელშეკრულების შეწყვეტის/ნებართვის გაუქმების საფუძველსა და წესს და სხვა პირობებს.
- 2.4. აუქციონით გათვალისწინებულ ნებართვის მოქმედების ვადა განისაზღვრება ნებართვის გაცემიდან 10 (ათ) წლით (შემდგომში - „ნებართვის მოქმედების ვადა“).
- 2.5. ნებართვის გაცემის საწყისი ფასი შეადგენს 8 020 424 ლარს. აუქციონის შედეგად განსაზღვრულ გარე რეკლამის სრულ პერიოდს საბოლოო საფასური გადაიხდება ერთჯერადად, წინასწარ, 2024 წლის

01 ლეკემბრამლე ვალში.

2.6. გადახდელ ბე-ს თანხა ჩაითვლება ნებართვის საფასურში.

### 3. აუქციონის ძირითად პირობები

3.1. აუქციონი ითვალსწინებს გამარჯვებულ პირისათვის ნებართვის გადაცემას ლოტით გათვალსწინებულ ტერიტორიაზე მდებარე, ამ პირობების დანართ №1-ში მოცემულ ადგილებზე, ამავე დანართით განსაზღვრულ პარამეტრების გარე რეკლამების განთავსების მიზნით (შემდგომში - „არსებული ობიექტები“). ყოველგვარი ეჭვის გამოსარიცხად, ამ პირობების დანართ №1-ში მითითებულ გარე რეკლამის ტიპები არის საინფორმაციო ხასიათის და გამარჯვებულ პირი უფლებამოსილია, დანართ №1-ში მოცემულ ადგილებზე, საკუთარი შეხედულებებისამებრ, განათავსოს სხვა სახეობის გარე რეკლამა, დანართ №1-ში მითითებულ პარამეტრების ფარგლებში და მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნათ დაცვით.

3.2. აუქციონში გამარჯვებულ პირი ვალდებულია განთავსებულ კონსტრუქციების ადგილებზე არსებობის, მათ პარამეტრების და სარეკლამო ფართის ოფენობის დანართ №1-ის პირობებთან შესაბამისობის და დესტრუქციისთვის ხელშეკრულების გაფორმებიდან ერთ წელს ვალდებულია წარმოადგინოს სსიპ „ლევან სამხარაულს სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიურო“-ს ან სხვა აკრედიტირებულ/ავტორიზირებულ ორგანოს/პირის მიერ გაცემულ დასკვნა.

3.3. გარდა არსებული ობიექტებისა, გამარჯვებულ პირი უფლებამოსილია ლოტით გათვალსწინებულ ტერიტორიაზე განათავსოს გარე რეკლამის არასტანდარტულ საშუალებები (არაუმეტესი 3 კვ.მ., შემდგომში - „მცირე საშუალებები“), არაუმეტეს 250 (ორასორმოცდაათ) ერთეულსა.

**გარე რეკლამის მცირე საშუალებად მიიჩნევა** - ღია სივრცეებში (მაგალითად, მიწის ნაკვეთზე, გარე განათების ბოძებზე ან/და სხვა კონსტრუქციებზე/ნაგებობებზე) განთავსებული სარეკლამო დანიშნულების მანიშნებლები, რომელთაც მიანიშნებს ამა თუ იმ კონკრეტულ კომერციულ ობიექტის მდებარეობის/ მიმართულების/ საქმიანობის შესახებ და ა.შ.), აგრეთვე, კონკრეტულ ბიზნეს-სუბიექტის საქმიანობის რეკლამირების მიზნით, ამ ბიზნეს-სუბიექტის მიმდებარე განთავსებულ, არასტანდარტულ, ერთჯერად სარეკლამო კონსტრუქციები. მცირე საშუალებები განკუთვნილი არ არის მისი მრავალჯერად გამოყენებისათვის (მაგალითად, შემდგომში სხვა ბიზნეს-სუბიექტის მიერ).

3.4. იმ შემთხვევაში, თუ აუქციონში გამარჯვებულ პირს სურს, ქალაქ ბათუმის მუნიციპალტეტთან შეთანხმების საფუძველზე, ლოტით

გათვალსწინებულ ტერიტორიაზე მოიპოვოს გარე რეკლამის განთავსების უფლება არსებულ ობიექტებისგან განსხვავებულ (დმატებით) ადგილებზე ან/და მეტ ფართობზე, ასევე, მცირე საშუალებების ამ პირობებით განსაზღვრულზე მეტ რაოდენობაზე (შემდგომში – „ახალ ობიექტები“), ახალ ობიექტის განთავსების ნებართვის მოზღვების სანაცვლოდ, მან მუნიციპალტეტს უნდა გადაუხადოს ამგვარი ცვლელით გამოწვეულ გაუმჯობესების შესაბამისი საბაზრო ღირებულება, რომელიც ფინანსება სსიპ – ლევან სამხარაულს სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს ან სხვა აკრედიტირებულ/ავტორიზირებულ აუდიტორულ კომპანიის/პირის დასკვნის საფუძველზე. დასკვნა მომზადებულ უნდა იქნას გამარჯვებულ პირის დაკვეთით და ხარჯებით.

3.5. ნებართვის მფლობელს მიერ, ახალ ობიექტებზე რეკლამის განთავსების უფლების მოზღვების შესახებ განცხადება წარდგენილ უნდა იქნას მუნიციპალტეტის მერიაში წერილობით ფორმით, შესაბამისი აუდიტორულ/საექსპერტო დასკვნის თანხლებით. ნებართვის გამცემი განცხადებას განიხილავს და მხოლოდ თანხმობის შემთხვევაშია ნებართვის მფლობელ უფლებამოსილ სარეკლამო კონსტრუქციები განათავსოს მოქმედ კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვით.

3.6. ნებართვის მფლობელ უფლებამოსილთა, ნებართვის ფარგლებში საკუთარი შეხედულებისამებრ განსაზღვროს განსაზღვრულ ობიექტებზე, ახალ ობიექტებსა და არასტანდარტულ საშუალებებზე გარე რეკლამის განთავსების (გავრცელების) საფასურის ოდენობა და სხვა პირობები. ნებართვის მოქმედების ვალს განმავლობაში აღნიშნულ საქმიანობიდან მიღებულ შემოსავალს სრულად ეკუთვნის ნებართვის მფლობელს (კანონმდებლობით დადგენილ შესაბამისი გადასახადების გარდა).

3.7. ნებართვის გამცემი არცერთ შემთხვევაში არ არის ვალდებული, დააკმაყოფილოს გამარჯვებულ პირის მიმართა ახალ ობიექტის განთავსების თობაზე და იგი უფლებამოსილთა, საკითხი გადაწყვიტოს დასკრეციულ უფლებამოსილების ფარგლებში, საკუთარი შეხედულებისამებრ.

3.8. ნებართვის გამცემი აუქციონში გამარჯვებულ პირს არ გადასცემს (არცერთ სამართლებრივი ფორმით) რაიმე სარეკლამო ინფრასტრუქტურას. ამასთან, ნებართვის მფლობელს მიერ განთავსებულ სარეკლამო ინფრასტრუქტურა წარმოადგენს ნებართვის მფლობელს საკუთრებას და მასთან დაკავშირებით ხელშეკრულების მოქმედებისა და ხელშეკრულების ვალს გასვლს ან/და შეწყვეტის შემდეგ რაიმე სახის ანაზრაურების უფლება ნებართვის გამცემის მიმართ არ წარმოეშობა.

3.9. აუქციონში გამარჯვებულ პირი ვალდებულია განათავსოს თანამედროვე ტიპისა და ღირსიანის მქონე სარეკლამო კონსტრუქციები

ქალქ ბათუმის მუნიციპალტეტის მერიის ქალაქგანვითარებისა და ურბანულ პოლიტიკის სამსახურთან შეთანხმების საფუძველზე.

- 3.10. აუქციონში გამარჯვებულ პირი ვალდებულია სარეკლამო კონსტრუქციებზე, ასევე მცირე საშუალებებზე რეკლამა განათავსოს კანონმდებლობის დადგენილ წესის შესაბამისად ქალქ ბათუმის მუნიციპალტეტის მერიის ქალაქგანვითარებისა და ურბანულ პოლიტიკის სამსახურთან შეთანხმების საფუძველზე.
- 3.11. აუქციონში გამარჯვებულ პირი ვალდებულია, დიცვას სარეკლამო ინფრასტრუქტურისა და მასზე გარე რეკლამის განთავსების უფლების (თანხმობა/გამოყენების უფლება/შეტყობინება და სხვ.) მოზოვების, განახლების/ვალს გაგრძელებისა და მათ ექსპლუატაციის შესახებ კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნები და სტანდარტები.
- 3.12. ნებართვის მფლობელ ვალდებულია ხელშეკრულების დასრულებიდან, ვადაზე ადრე გაუქმებიდან ან/და ხელშეკრულებით გათვალისწინებულ სხვა შესაბამის შემთხვევებში (ასეთს არსებობის შემთხვევაში), არაუგვიანეს სამი თვისა გაათავისუფლოს სარეკლამო ინფრასტრუქტურისგან (სარეკლამო კონსტრუქციები, ნაგებობები და სხვა) „ლოტით გათვალისწინებულ ტერიტორია“ და თავისუფალ მფლობელობაში ჩააბაროს ნებართვის გამცემს. ამ ვალს გასვლს შემდგომ ნებართვის გამცემი უფლებამოსილია საკუთარი ხარჯებით მოახდინოს „ლოტით გათვალისწინებულ ტერიტორიის“ გათავისუფლება სარეკლამო ინფრასტრუქტურისგან (სარეკლამო კონსტრუქციები, ნაგებობები და სხვა), რა დროსაც ნებართვის გამცემი პასუხს არ აგებს სარეკლამო ინფრასტრუქტურის დაღუპვასა და გაფუჭებაზე. ამასთან, ნებართვის მფლობელს სრულად დაეკისრება ნებართვის გამცემის მიერ გაწეულ ხარჯების ანაზღაურება.
- 3.13. ნებისმიერი სარეკლამო ინფრასტრუქტურის (ნაგებობების) და მასზე გარე რეკლამის განთავსების უფლების (თანხმობა/გამოყენების უფლება/შეტყობინება და სხვ.) გაცემის/განახლების/ვალს გაგრძელების საკითხი (საჭიროების შემთხვევაში) განიხილება შესაბამისი ადმინისტრაციულ ორგანოების მიერ, მათ დსკრეციულ უფლებამოსილების ფარგლებში და შესაბამის დროს მოქმედი კანონმდებლობის მიხედვით. მუნიციპალტეტის შესაბამისი ორგანოები უფლებამოსილი არიან, ნებისმიერ დროს, შეუზღუდავად დაადგინონ და განსაზღვრონ გარე რეკლამის განთავსებისთვის ახალ/დამატებით წესები, სტანდარტები და შეზღუდვები, ქალაქგამარბით ხელეები და ა.შ.
- 3.14. იმ შემთხვევაში, თუ მცირე საშუალებებზე, არსებულ ან/და ახალ ობიექტებზე გარე რეკლამის განთავსების უფლების (თანხმობა/გამოყენების უფლება/შეტყობინება და სხვ.) მოზოვების/განახლების/ვალს გაგრძელების პროცესში, აუქციონში გამარჯვებულ პირს მოუწევს, განახორციელოს რაიმე სახის ცვლლებები სარეკლამო ინფრასტრუქტურის სახეობების ან/და მისი

განთავსების პირობებში, გამარჯვებულ პირს ნებართვის გამცემის ან/და მუნიციპალტეტის სხვა ორგანოს მიმართ არ წარმოეშობა რაიმე მოთხოვნის ან/და პრეტენზიის წარდგენის უფლება.

3.15. ლოტით გათვალისწინებულ ტერიტორია არ მოიცავს მესამე პირთა (ასეთ პირად მიიჩნევა ნებისმიერი ფიზიკური და იურიდიული პირი, მათ შორის საჯარო სამართლის იურიდიული პირი) სარგებლობის/საკუთრების უფლებით დღეს რეგისტრირებულ/გადაცემულ ან/და მომავალში დარეგისტრირებულ/გადასაცემ ნებისმიერ (უძრავი/მოძრავი/არამატერიალური სიკეთე) ქონებას (ტერიტორიებს) და აღნიშნულ ტერიტორიებზე გარე რეკლამის განთავსების საკითხი რეგულირება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად (აღნიშნულ ობიექტებზე არ ვრცელდება წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებულ სანებართვო უფლებები და შეზღუდვები და ამასთან არ წარმოადგენს სახელწიფო/მუნიციპალურ/აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საკუთრებაში არსებულ ნებისმიერ ქონების განკარგვის (ნებისმიერი ფორმით) დამატებით გათვალისწინებას.

3.16. ქალქ ბათუმის მუნიციპალტეტი (მათ შორის, ქალქ ბათუმის მუნიციპალტეტის მიერ დაფუძნებული იურიდიული პირ(ებ)ი) უფლებამოსილია ლოტით გათვალისწინებულ ტერიტორიის ნებისმიერ ადგილზე, გარდა დანართი N1-ში მითითებულ ობიექტებისა (სარეკლამო კონსტრუქციებისა), საკუთარი შეხვედრებისამებრ, შეუზღუდავად განათავსოს ნებისმიერი სახის სარეკლამო ინფრასტრუქტურა და გაავრცელოს მასზე ისეთ სახის რეკლამა, რომელიც ემსახურება საზოგადოების (მისი ნაწილს) ინფორმირებას სახელწიფო/მუნიციპალტეტის/აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საქმიანობასთან დაკავშირებულ ან/და საზოგადოებრივი მნიშვნელობის საკითხზე. ამასთან, დაუშვებელია ამ პუნქტში მითითებულ სარეკლამო ინფრასტრუქტურის გამოყენება ქალქ ბათუმის მუნიციპალტეტის ან/და სხვა მესამე პირის მიერ მასზე უშუალოდ სარეკლამო საშუალების განთავსებიდან მოგების მიღების/კომერციულ საქმიანობის წარმართვის მიზნით.

3.17. გამარჯვებულ პირი ვალდებულია, ნებართვის მოქმედების ვადის განმავლობაში მუდმივად უზრუნველყოს ამ პირობების დანართი N1-ში მითითებულ ადგილებიდან ნებართვის გამცემის მიერ მოთხოვნილ არანაკლებ 10 (ათ) ლოკაციაზე ამავე დანართში მოცემულ პარამეტრების სარეკლამო ინფრასტრუქტურის განთავსება, ასევე, მათ მოვლა-პატრონობა, რემონტი/განახლება (საჭიროებისამებრ), მათ თავისუფალ მფლობელობაში შენარჩუნება და მათზე ქალქ ბათუმის მუნიციპალტეტის (მათ შორის, ქალქ ბათუმის მუნიციპალტეტის მიერ დაფუძნებული იურიდიული პირ(ებ)ის) მიერ მიწოდებულ გარე რეკლამის გავრცელება და ამ მიზნით, სხვა შესაბამისი სამუშაოების გაწევა/ღონისძიებების განხორციელება, საკუთარი ხარჯებით. ამასთან, გამარჯვებულ პირი ვალდებულია,

მუნიციპალტეტის მიერ მითითებულ ადგილებზე გარე რეკლამა გავრცელოს/განაახლოს ნებართვის მოქმედების ვადის განმავლობაში ნებისმიერ დროს, ქალაქ ბათუმის მუნიციპალტეტის მიერ შესაბამისი მოთხოვნისა და სარეკლამო მასალის მიწოდებიდან არაუგვიანეს 10 (ათ) კალენდარულ დღის ვადაში, გამარჯვებულ პირის ხარჯებით (ასეთ შემთხვევაში სარეკლამო მასალის შექმნის ხარჯები გამარჯვებულ პირს არ ეკისრება). ხოლო ქალაქ ბათუმის მუნიციპალტეტის მოთხოვნის შემთხვევაში, გამარჯვებულ პირი ვალდებულია მუნიციპალტეტის მიერ მიწოდებულ შინაარსის რეკლამის დამზადება და განთავსება უზრუნველყოს საკუთარი ხარჯებით, 15 (თხუთმეტი) კალენდარულ დღის ვადაში. ამ პუნქტით შესაძლებელია გავრცელდეს ისეთ სახის რეკლამა, რომელც ემსახურება საზოგადოების (მისი ნაწილს) ინფორმირებას სახელმწიფო/მუნიციპალტეტის/აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საქმიანობასთან დაკავშირებულ ან/და საზოგადოებრივი მნიშვნელობის საკითხზე. ამასთან, დაუშვებელია ამ პუნქტში მითითებულ სარეკლამო ინფრასტრუქტურის გამოყენება ქალაქ ბათუმის მუნიციპალტეტის ან/და სხვა მესამე პირის მიერ მასზე უშუალოდ სარეკლამო საშუალების განთავსებიდან მოგების მიღების/კომერციულ საქმიანობის წარმართვის მიზნით.

- 3.18. ნებართვის მფლობელ ვალდებულია, დაიცვას სარეკლამო ინფრასტრუქტურის განთავსების უფლების (თანხმობა/გამოყენების უფლება/შეტყობინება და სხვ.) მოპოვებისა და მათ ექსპლუატაციის შესახებ კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნები, მოვლა-პატრონობასთან დაკავშირებულ წესები.
- 3.19. ნებართვის მფლობელ, მხოლოდ ნებართვის გამცემის წინასწარი წერილობით თანხმობის საფუძველზე, უფლებამოსილია განკარგოს ნებართვა (სრულად ან ნაწილობრივ) მესამე პირებზე ან/და დატვირთოს იგი (ნებისმიერ სამართლებრივი ფორმით) მესამე პირ(ებ)-ის სასარგებლოდ, ამ პირობებით გათვალისწინებულ ვალდებულებების მესამე პირებზე უცვლელად გადასვლას პირობით.
- 3.20. გამარჯვებულ პირი ვალდებულია, ნებართვის მოქმედების ვადის განმავლობაში მუდმივად უზრუნველყოს ამ ხელშეკრულების დანართში მითითებულ ადგილებზე ამავე დანართში მოცემულ პარამეტრების სარეკლამო ინფრასტრუქტურის განთავსება, ასევე, მათ მოვლა-პატრონობა, რემონტი/განახლება (საჭიროებისამებრ). ამ პუნქტის დარღვევის შემთხვევაში ნებართვის გამცემი უფლებამოსილია ნებართვის მფლობელს დაუწესოს ვადა მისი გამოსწორებისათვის, ხოლო დაწესებულ ვადაში გამოსწორების შემთხვევაში გამოიყენება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირგასამტეხლო.
- 3.21. ნებართვის გამცემი უფლებამოსილია, ნებართვის ვადის განმავლობაში მიმართოს ნებართვის მფლობელს ამ პირობებიდან გამომდინარე ნებართვის მფლობელს ვალდებულებების/სანებართვო



პირობების შესრულების შესახებ ინფორმაციის გამოთხოვის მიზნით, რა შემთხვევაშიც ნებართვის მფლობელ ვალდებულია, წერილობით მიაწოდოს ნებართვის გამცემს მოთხოვნილ ინფორმაცია და შესაბამისი დოკუმენტაცია არაუგვიანეს მოთხოვნის მიღებიდან 10 სამუშაო დღის ვადაში.

- 3.22. ქალქ ბათუმის მუნიციპალტეტის შესაბამისი ორგანოები უფლებამოსილი არიან, საკუთარი შეხედულებისამებრ, დააფინანსონ კერძო საკუთრებაში არსებულ ტერიტორიებზე გარე რეკლამის განთავსებისა და მართვის დღეს არსებულსგან განსხვავებულ/დამატებით წესები და სტანდარტები. აღნიშნულთან გამომდინარე ან/და მასთან დაკავშირებით აუქციონში გამარჯვებულ პირს მუნიციპალტეტის მიმართ არ წარმოეშობა რაიმე მოთხოვნის ან/და პრეტენზიის წარდგენის უფლება.
- 3.23. აუქციონთან დაკავშირებულ სხვა საკითხები და პირობები განიხილება მოქმედ კანონმდებლობისა და „გარე რეკლამის განთავსების ნებართვის შემოღების და გარე რეკლამის განთავსების ნებართვის გაცემის წესის დამტკიცების შესახებ“ ქალქ ბათუმის მუნიციპალტეტის საკრებულოს 2010 წლის 30 ნოემბრის №36 დადგენილების შესაბამისად.
- 3.24. ნებართვის მფლობელ ვალდებულია გადაიხადოს გარე რეკლამასთან დაკავშირებულ ინფრასტრუქტურის მოწყობის, მათ შორის კომუნალური, ხარჯები.

#### **4. ოქმის გამოცემის, ხელშეკრულების დადების, აუქციონის სრულ საფასურის გადახდისა და სანებართვო მოწმობის გაცემის წესი**

- 4.1. აუქციონის (სააუქციონო ვაჭრობის) დასრულების შემდეგ გამოიცემა აუქციონში გამარჯვების დამადასტურებელი ოქმი, რომელშიც აისახება გამარჯვებულ პირის დასახელება, ლოტის დასახელება, ნებართვის მოქმედების ვადა და ნებართვის გაცემის ფასი.
- 4.2. ოქმის შედგენიდან 05 (ხუთ) კალენდარულ დღის ვადაში დაიდება ხელშეკრულება. გამარჯვებულ პირს მიუხედავად ხელშეკრულების გაუფორმებლობის შემთხვევაში, აუქციონის შედეგები უქმდება და გამარჯვებულ პირს გადახდელი ბე/წარმოდგენილი უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტია არ დაუბრუნდება და გაწეული ხარჯები არ აუნაზღაურდება.
- 4.3. გარე რეკლამის განთავსების ნებართვა ნებართვის მფლობელს გადაეცემა ხელშეკრულებაზე ხელმოწერისთანავე.

#### **5. გამარჯვებულ პირის პასუხისმგებლობა**

- 5.1. გამარჯვებულ პირს მიერ აუქციონის სრულ საფასურის ხელშეკრულებით განსაზღვრულ ვადაში სრულად გადახდების შემთხვევაში, აუქციონის შედეგები უქმდება, ხელშეკრულება წყდება და გამარჯვებულ პირს გადახდით ბე/წარმოდენილ უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტია არ დაუბრუნდება და გაწეული ხარჯები არ აუნაზღაურდება.
- 5.2. ხელშეკრულების სხვა ვალდებულებების/პირობების დარღვევის შემთხვევაში, გამარჯვებულ პირს დაეკისრება პირგასამტენლოს გადახდის ვალდებულება თითოეულ დარღვევაზე 100 ლრის ოდენობით, დარღვევის დღიდან ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ვალდებულების სრულად შესრულებამდე ან ხელშეკრულების შეწყვეტამდე.

**6. უქციონში მონაწილეობის პირობები და გამარჯვებულ პირს გამოვლენის წესი**

- 6.1. აუქციონის საწყისი საფასური (ნებართვის გაცემის საწყისი ფასი) შეადგენს 8 020 424 ლრს.
- 6.2. აუქციონში გამარჯვებულ პირს გამოვლენის ერთდროთ კრიტერიუმია ნებართვის გაცემის ფასზე ყველაზე მაღალი შეთავაზება.
- 6.3. აუქციონში მინიმალური ბიჯი შეადგენს 240 613 ლრს.
- 6.4. აუქციონში მონაწილეობის მსურველ პირს აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრირება და აუქციონში მონაწილეს სტატუსს იძენს კანონმდებლობის მოთხოვნათ შესაბამისად.
- 6.5. აუქციონში მონაწილეობის მსურველ პირს მიერ გადასახდელ ბეს/საბანკო გარანტიის ოდენობა შეადგენს 802 043 ლრს.
- 6.6. აუქციონში მონაწილეობის მსურველ პირს მიერ ბე გადახდით უნდა იქნას/საბანკო გარანტია წარმოდენილ უნდა იქნას ელექტრონულ აუქციონის გამოცხადებიდან მის დასრულებამდე, არაუგვიანეს წინა სამუშაო დღის 18:00 საათსა. ბე გადახდით უნდა იქნას უნაღლო ანგარიშსწორების ფორმით. საბანკო გარანტია წარდგენილ უნდა იქნას. ამ პუნქტში მითითებულ ვადის გასვლადან აუქციონის დასრულებამდე არაუგვიანეს 2 წუთსა, ბეს გადახდა აუქციონში მონაწილეობის მსურველ პირს შეუძლია მხოლოდ ბილდინგის სისტემით.

**7. გარე რეკლამის განთავსების ნებართვასთან დაკავშირებით დაწესებული საჯარო-სამართლებრივი შეზღუდვები**

- 7.1. გარე რეკლამის განთავსების ადგილების განსაზღვრა ან/და ამ ადგილებზე გარე რეკლამის განთავსების ნებართვის გაცემა არ კრძალავს ამ ადგილების გამოყენებას კომუნალური ინფრასტრუქტურის (სანიღვრე არხები, წყლის და კანალიზაციის სისტემები, ელექტროგადამცემი ხაზები და სხვა ხაზოვანი ნაგებობები) ობიექტების სამშენებლო (ახალი მშენებლობა, რეკონსტრუქცია-რეაბილიტაცია, აღმონტაჟი) სამუშაოებისათვის. გარე რეკლამის ადგილების გამოყენებასთან დაკავშირებით ამ პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში მიღებულ გადაწყვეტილება წარმოადგენს შესაბამის ნაწილში გარე რეკლამის

განთვსების ნებართვის ძალდაკარგულად გამოცხადების საფუძველზე.

7.2. გარე რეკლამის განთვსების აფილბის განსაზღვრა ან/და ამ აფილბზე გარე რეკლამის განთვსების ნებართვის გაცემა უფლებამოსილ ორგანოს არ უზღუდავს ან/და არ უკრძალავს მიიღოს გადაწყვეტილება ამა თუ იმ აფილსათვის (აფილბისათვის) გარე რეკლამის განთვსების აფილს სტატუსის გაუქმების შესახებ ან/და გამოიყენოს იგი რაიმე სხვა დანიშნულებით ან/და გაასხვისოს იგი. კონკრეტულ აფილსათვის (აფილბისათვის) გარე რეკლამის განთვსების აფილს სტატუსის გაუქმებასთან დაკავშირებით ამ პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში მიღებულ გადაწყვეტილება წარმოადგენს შესაბამის ნაწილში გარე რეკლამის განთვსების ნებართვის ძალდაკარგულად გამოცხადების საფუძველზე.

7.3.7.1. და 7.2. პუნქტებით გათვალისწინებულ შემთხვევებში ნებართვის მფლობელს არ წარმოეშობა ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლება, ხოლო ნებართვის გამცემი, ნებართვის მფლობელს თანხმობით, გადასცემს ამ უკანასკნელს გაუქმებულ ობიექტის ან/და ობიექტის შემცირებულ ფართის ალტერნატიულ ნებართვის მფლობელსთვის მისაღებ (სარეკლამო დანიშნულებით გამოყენების მიზნებისთვის ექვივალენტურ) გარე რეკლამის ობიექტს/ფართს.

## 8. გარე რეკლამის განთვსების ნებართვის მუნიციპალტეტის მხრიდან ცალმხრივად გაუქმების საფუძველია:

8.1. გაფრთხილების მიუხედავად დაწესებულ ვადაში სანებართვო პირობების შეუსრულებლობა, მათ შორის, გაფრთხილების მიუხედავად სანებართვო პირობების განმეორებით დარღვევა;

8.2. დაკისრებულ პირგასამტეხლოს დაწესებულ ვადაში გადაუხდელობა;

8.3. გაფრთხილების მიუხედავად წინამდებარე წესის მოთხოვნების დარღვევა;

8.4. უფლებამოსილი ორგანოს (მათ შორის ნებართვის გამცემის) მიერ მიღებულ გადაწყვეტილება, რომლისაც ამა თუ იმ აფილს (აფილბს) მოეხსნა გარე რეკლამის განთვსების აფილს სტატუსი;

8.5. გარე რეკლამის განთვსების აფილს საჭიროს კომუნალური ინფრასტრუქტურის (სანიაღვრე არხები, წყლის და კანალიზაციის სისტემები, ელექტროგადამცემი ხაზები და სხვა ხაზოვანი ნაგებობები) ობიექტების სამშენებლო (ახალი მშენებლობა, რეკონსტრუქცია-რეაბილიტაცია, დემონტაჟი) სამუშაოებისათვის.

8.6.8.4 და 8.5 პუნქტებით გათვალისწინებულ შემთხვევაში ნებართვის ქადაქ ბათუმის მუნიციპალტეტის მიერ ცალმხრივად გაუქმების დროს ნებართვის მფლობელს არ უბრუნდება უკვე გადახდილი ნებართვის ფასი და არ წარმოეშობა ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლება. ნებართვის მფლობელს უფლება აქვს წაიღოს გარე რეკლამის განთვსების აფილზე მის მიერ განთვსებულ ნივთები.

8.7.8.1., 8.2. და 8.3. პუნქტებით გათვალისწინებულ შემთხვევაში,

ნებართვის ქალაქ ბათუმის მუნიციპალტეტის მიერ ცალმხრივად გაუქმების დროს ნებართვის მფლობელს უფლება არ აქვს წაიღოს გარე რეკლამის განთავსების აფილზე მის მიერ განთავსებულ ნივთები. ამასთან, მას არ უბრუნდება უკვე გადახდილი ნებართვის ფასი, არ წარმოეშობა ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლება და არ აუნაზღაურდება გარე რეკლამის განთავსების აფილზე მის მიერ განთავსებულ ნივთების ღირებულება.

## **გ ა ნ მ ა რ ტ ე ბ ი თ ი ბ ა რ ა თ ი**

### **პროექტის სახელწოდება და სათური**

**„გარე რეკლამის განთავსების ნებართვის აუქციონზე გაცემის საწყისი ფასის განსაზღვრისა და აუქციონის პირობებისა და ჩატარების პროცედურის დადგენის შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალტეტის საკრებულოს 2023 წლის 25 აგვისტოს №გ-15. 15232375 განკარგულებაში ცვლადების შეტანის თაობაზე“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი**

**ა) ზოგადი ინფორმაცია პროექტის შესახებ**

**ა.ა) პროექტის მიღების მიზეზი და მიზანი:**

ქალაქ ბათუმის მუნიციპალტეტის საკრებულოს მიერ 2023 წლის 25 აგვისტოს გამოცემულ იქნა №გ-15. 15232375 განკარგულება „გარე რეკლამის განთავსების ნებართვის აუქციონზე გაცემის საწყისი ფასის განსაზღვრისა და აუქციონის პირობებისა და ჩატარების პროცედურის დადგენის შესახებ“, რომელთაც განისაზღვრა ქალაქ ბათუმის მუნიციპალტეტის ტერიტორიაზე გარე რეკლამის განთავსების ნებართვის აუქციონზე გაცემის საწყისი ფასი (8 020 424 ლარი) და დადგინდა აუქციონის პირობები და ჩატარების პროცედურა. განკარგულების გამოცემის შემდგომ განხორციელდა აუქციონის პირობების დაზუსტება, რომელც ასახულია წინამდებარე პროექტის დანართში. შესაბამისად საჭიროა ცვლადება შევიდეს „გარე რეკლამის განთავსების ნებართვის აუქციონზე გაცემის საწყისი ფასის განსაზღვრისა და აუქციონის პირობებისა

და ჩატარების პროცედურის დადენის შესახებ“ ქალქ ბათუმის მუნიციპალტეტის საკრებულოს 2023 წლის 25 აგვისტოს №-15. 15232375 განკარგულებაში და აუქციონის პირობები და ჩატარების პროცედურა დადინდეს ახალ, თანდართულ რედაქციით.

**ა.ბ) პროექტის ძირითად არსი:**

„გარე რეკლამის განთავსების ნებართვის აუქციონზე გაცემის საწყისი ფასის განსაზღვრისა და აუქციონის პირობებისა და ჩატარების პროცედურის დადენის შესახებ“ ქალქ ბათუმის მუნიციპალტეტის საკრებულოს 2023 წლის 25 აგვისტოს №-15. 15232375 განკარგულებაში ცვლლების შეტანა, კერძოდ აუქციონის პირობებისა და ჩატარების პროცედურის ახალ რედაქციით დადენა.

**ბ) პროექტის ფინანსური დასაბუთება**

ბ.ა) პროექტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელ ხარჯების დაფინანსების წყარო:

პროექტის განხორციელება არ მოითხოვს დამატებით ფინანსურ ხარჯებს.

ბ.ბ) პროექტის გავლენა ბიუჯეტის საშემოსავლო და ხარჯვით ნაწილზე:

ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე პროექტის განხორციელება გავლენას არ მოახდენს, საშემოსავლო ნაწილში გაიზრდება რეკლამის განთავსების ნებართვის ფასით.

**გ) პროექტის შესაბამისობა უპირატესი იურიდიულ ძალის მქონე ნორმატიულ აქტებთან:**

საქართველოს ორგანულ კანონი „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“.

**დ) პროექტის მომზადების პროცესში მიღებულ კონსულტაციები.**

**ე) პროექტის ავტორი:**

ქ. ბათუმის მუნიციპალტეტის მერიის მუნიციპალური ქონების და სერვისების მართვის სამსახური.

**ვ) პროექტის ინიციატორი:**

ქ. ბათუმის მუნიციპალტეტის მერია.

**ზ) განმარტებით ბარათს მომზადებაზე უფლებამოსილი პირის თანამდებობა, სახელი, გვარი და ხელმოწერა:**

ქ. ბათუმის მუნიციპალტეტის  
მერიის მუნიციპალური ქონების და  
სერვისების მართვის სამსახურის უფროსი  
დავით კოჭინაძე

